ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4858423

ნომერი: AR1733420

თარიღი : 08.02.2020

გაცემის თარიღი : 13.02.2020

გაცნობის თარიღი : 14.02.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დავით კვაჭანტირაძე , N 22; ქალაქი თბილისი , ქუჩა დავით კვაჭანტირაძე , N 22; ქალაქი თბილისი , ქუჩა დავით კვაჭანტირაძე , N 22; ქალაქი თბილისი , ქუჩა დავით კვაჭანტირაძე , N 22; ქალაქი თბილისი , ქუჩა დავით კვაჭანტირაძე , N 22; ქალაქი თბილისი , ქუჩა დავით კვაჭანტირაძე , N 22; ქალაქი თბილისი , ქუჩა დავით კვაჭანტირაძე , N 22;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაქარია სოზაშვილი პ/ნ 20001000949
- თელავის რაიონი, ს. ვარდისუბანი

ორგანიზაცია:

- შპს დეველოპმენტ ჯორჯია კოდი: 405044198

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური გაეცნო (და არა განიხილა, რადგან განუხილველად ეუბნება სამსახური უარს) თქვენი 2020 წლის 08 თებერვლის AR1733420 ელექტრონული განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამუშაოების განხორციელების /შენობა–ნაგებობის განთავსების შესაძლებლობის თაობაზე წერილობითი დასტურის გაცემას.
პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102–ე მუხლის თანახმად, განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზეც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემას.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სამსახურმა განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით უკვე იმსჯელა და პასუხი გეცნობათ სამსახურის 22/11/2019 წლის № 4763336 გადაწყვეტილებით, ამასთანავე წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ იკვეთება ახლად აღმოჩენილი ან/და ახლად გამოვლენილი გარემოება, რომელიც შეიძლება გახდეს ადმინისტრაციული წარმოების განახლების საფუძველი, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს თქვენი მოთხოვნის თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.